ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №---

ქ. ბათუმი ---- ---------- 2026 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილის სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის და საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივნის 2026 წლის 10 მარტის №10/1426069821-14 (№15 10.03.2026წ.) წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3300 კვ.მ. მეორადი ქვაფენილის ეკლესია/მონასტრების (800 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, სოფელ ზემო აგარის (მტირალას მთის) ჯვართამაღლების სახელობის ტაძრისა და მონასტრისათვის; 250 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, სოფელ ქობულეთის წმინდა სვიმეონ კანანელის სახელობის ტაძრისათვის; 800 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, სოფელ აჭყვისთავის აწყურის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრისათვის; 1200 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, ბათუმის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის ტაძრისათვის; 250 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, განთიადის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრისათვის) ეზოების კეთილმოწყობის მიზნით, სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, მუდმივ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს დაევალოს ამ განკარგულებიდან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილის სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივანის 2026 წლის 10 მარტის №15 (მერიის კანცელარიის რეგისტრაციის №10/1426069821-14; 10.03.2026წ.) წერილი (თან ერთვის) საქართველოს საპტრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის ეკლესია/მონასტრების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილების გადაცემის თაობაზე, კერძოდ:

800 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, სოფელ ზემო აგარის (მტირალას მთის) ჯვართამაღლების სახელობის ტაძრისა და მონასტრისათვის;

250 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, სოფელ ქობულეთის წმინდა სვიმეონ კანანელის სახელობის ტაძრისათვის;

800 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, სოფელ აჭყვისთავის აწყურის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრისათვის;

1200 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, ბათუმის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის ტაძრისათვის;

250 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, განთიადის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრისათვის.

მოქმედი კანონმდებლობით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი არაა მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობაში გადასცეს უშუალოდ ეკლესია/მონასტრებსა და გიმნაზიას. ამასთან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, შესაბამისი მომართვის შემთხვევაში მუდმივ სარგებლობაში გადასცეს სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-ს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2026 წლის 10 მარტს შემოვიდა საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივანის წერილი (#15) მეორადი ქვაფენილების საპატრიარქოსათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოთხოვნილი მეორადი ქვაფენილები (3300,00 კვ.მ.) ეკლესია/მონატრების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით მუდმივ სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაეცეს სსიპ „საქართველოს საპატრიარქოს“.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3300,00 კვ.მ. მეორადი ქვაფენილის ეკლესია/მონასტრების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, მუდმივ სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე არ იმოქმედებს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების მართვის
სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**